დაგემოვნება - savour - смакование

გემო-ყნოსვით მოდალობაში მეტ-ნაკლებად **მიზანმიმართული აღქმისა** და **ესთეტიკური გრძნობის** ერთობლივი ქმედება; მიზანმიმართული აღქმა აღქმულის **ესთეტიკური განცდისა** და **სიამოვნების**, ანდა **ესთეტიკური შეფასების** მიზნით. საყოფაცხოვრებო ვითარებაში ესაა დეგუსტატორის, გურმანის, პარფიუმერის ან სხვა ადამიანის მიერ სასმელის ანდა საჭმლის დაჭაშნიკება (რაც სუნის გასინჯვასაც მოიცავს ხოლმე); ან სუნელის, საცხებლის, სუნამოს, ყვავილისა თუ სხვა სურნელოვანი რამის სუნის მიზანმიმართული და ყურადღებიანი **შეგრძნება**. უბრალო გემო-ყნოსვითი აღქმისგან განსხვავებით, **დ** **ქცევის ფორმაა**, რადგან აქვს საკუთარი **მოთხოვნილება**. **დ**-ს ზოგჯერ ერთვის მიზანმიმართული აღქმის სხვა სახეობა: **თვალიერება** (მაგ., სასმელის გამოფენაზე), ან **მოსმენა** (მაგ., კაფე-ბარში).